

Kevlishvili O., Megrelishvili N.
PREVENTION OF CRDIOVASCULAR SYSTEM VIOLATIONS
DURING THE CRUSH-SYNDROME

SUMMARY

The early prevention of crush-syndrome by trental-seduxen combination defines increase of animal's resistance and decrease of lethal cases number. Thus, it is the utilization of our preparations (trental, seduxen), or its analogs, during the carrying of rescue workshops in the nidus of catastrophes and rendering the first aid to patients to detent the considerable pathological changes of the cardiovascular system and increase of the resistance of their organisms.

რ.კევრენწხილაძე, ვ.რეხვიაშვილი

**პროფესიული რეპროდუქტოლოგიის პრობლემა საშენ
ანსალატა მრეწველობის მაგალიტზე**

ოსსუ, შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა კათედრა

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია ქალთა დასაქმება მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. ეროვნული მეურნეობის თითქმის ყველა დარგში დასაქმებულია ქალთა მნიშვნელოვანი კონტინგენტი. ქალის ორგანიზმი, მთელი რიგი ფიზიკური და ფიზიოლოგიური თავისებურებების გამო, განსაკუთრებით მგრძობიარეა გარემოს ფაქტორების მოქმედების მიმართ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საპედიცინო, ეკონომიკური და სოციალური პრობლემა დასაქმებულ ქალთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვა.

გართულებელი თანამედროვე დემოგრაფიული და ეკოლოგიურ-ჰიგიენური მდგომარეობის კომპლექსი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემასთნ ერთად აქტუალურს ხდის მომუშავე ქალისა და მისი შთამომავლობის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხების რაციონალიზაციის პრობლემას.

გარემოსა და ადამიანის, კერძოდ, ქალის ორგანიზმის გართულებული ურთიერთდამოკიდებულებების პრობლემის შეფასებისათვის მკვდრდება ტერმინი „ეკოლოგიური რეპროდუქტოლოგია“ (3,4). საწარმოო რისკ-ფაქტორების როლის განხილვასთან მიმართებით უფრო მიზანშეწონილად მდგვარნია ტერმინი „პროფესიული რეპროდუქტოლოგია“, რომელიც უფრო კონკრეტულია და ასახავს საწარმოო ფაქტორების მოქმედების შედეგს მომუშავე ქალთა ორგანიზმსა და მის შთამომავლობაზე.

საქართველოში ფართოდ განვითარებული სამენ მასალათა მრეწველობის საწარმოები ხასიათდება საწარმოო გარემოსა და შრომითი პროცესის უარყოფით ფაქტორთა ნაირგვარი კომპლექსებით, რომელიც გააღწიებს ახდენს დარგში ფართოდ დასაქმებულ ქალთა და მათი შთამომავლობის ჯანმრთელობასა და ფიზიკურ-ფიზიოლოგიური განვითარების მთელ რიგ მაჩვენებლებზე.

ყურადღებას იქცევს მომუშავეთა გინეკოლოგიური ავადობის დონის თავისებურებანი, რომელიც მიღებულია კლინიკური გასინჯვისა და ავადობის მასალის სტატისტიკური შესწავლის შედეგად. კერძოდ, კლინიკურ-ფუნქციური გამოკვლევისას ყოველ 100 გასინჯულზე გამოვლინდა გინეკოლოგიური დაავადებების 50,3 შემთხვევა (განსხვავება კონტროლისაგან სარწმუნოა, $t=3,0$), ხოლო ავადობის სტატისტიკური შეწავლისას ძირითადი ჯგუფის ქალთა შორის გინეკოლოგიური დაავადება აღინიშნება მხოლოდ 2-3 შემთხვევაში ყოველ 100 მომუშავეზე (განსხვავება კონტროლისაგან სარწმუნო არა არის, $t=1,6$). ეს ფაქტი უნდა აიხსნას, ძირითადად, ნაკლები მიმართვიანობით სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისადმი. ამასთან ერთად უნდა გაითვალისწინოთ, რომ საშუალო ადგილზე ჩატარებული მასობრივი კლინიკური გასინჯვისას უფრო აქტიურად მიმართავენ პირები გარკვეული პათოლოგიით ან ჩივილებით, რითაც აიხსნება ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ მაჩვენებელს შორის.

გინეკოლოგიური დაავადებების სტრუქტურაში ყურადღებას იქცევს საშვილოსნოს ყელისა და მისი დანამატების ანთებითი პროცესები, აგრეთვე მენსტრუალური ფუნქციის დარღვევა და საშვილოსნოს ყელის ეროზია. ორსულობისა და აბორტის შემდგომი პერიოდის გართულებების მომატებული დონე, მენსტრუალური ფუნქციის დარღვევასთან ერთად, მიუთითებს ძირითადი ჯგუფის ქალთა ორგანიზმის მეტ დაზიანებაზე საწარმოო გამაღიზიანებლის მოქმედების შემდეგ.

მშობიარობის მიმდინარეობის გართულებათა საერთო დონე ძირითადი ჯგუფის მუშებს შორის (28,8 შემთხვევა 100 გამოკვეულზე) 1,5-ჯერ მაღალია საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელთან შედარებით ($t=2,9$). მისი სტრუქტურა ძირითად და საკონტროლო ჯგუფებში ერთმანეთისაგან განსხვავდება სარწმუნოების მაღალი ხარისხით ($X^2=26,3$). გართულებათა სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია სანაყოფე წყლების ნაადრევ დაღვრას.

განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ ნაადრევი მშობიარობის განვითარების სიხშირეზე - 1,7-ჯერ მეტად კონტროლთან შედარებით ($t=1,9$), რომელსაც ძირითადი ადგილი უკავია პერინატალური ავადობისა და სიკვდილობის მიზეზთა შორის ორსულობის გართულებებისაგან განსხვავებით, ნაადრევი მშობიარობის სიხშირე ძირითად ჯგუფში

მატულობს მუშაობის სტაჟის ზრდასთან ერთად, განსაკუთრებით კი - მომუშავე ქალთა ასაკის ზრდასთან ერთად.

ახალშობილთა ადრეული ადაპტაციური პროცესების მიმდინარეობის ხასიათის შესწავლით გამოვლინდა მთელი რიგი დამახასიათებელი თავისებურებები. ახალშობილთა განვითარების ანომალიებიდან აღსანიშნავია დღენაკლულობა, ასფიქსია.

შესწავლილი დარგის საწარმოთა ძირითადი ჯგუფის მუშათა ბავშვები ხასიათდებიან დედის რძით კვების გვიან დაწყებით, აგრეთვე სხეულის საწყისი მასის დაკარგვის უფრო დიდი მაჩვენებლებით.

ახალშობილთა დაავადებების სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უკავიათ ცერებრულ დარღვევებს და ალერგიულ დაავადებებს.

დარგში მომუშავეთა 2 წლამდე ასაკის ბავშთა განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლამ ვერ გამოავლინა არსებითი განსხვავება ძირითადი და საკონტროლო ჯგუფების ბავშვთა ფიზიკური და ფსიქო-ფიზიოლოგიური გნვითარების ტემპებში. ჩვენს მიერ გამოვლენილი განსხვავების ტენდენციები 18-24 თვის ასაკისათვის მთლიანად ნიველირდება.

ბავშვთა ავადობის სტრუქტურაში ყურადღებას იქცევს სუნთქვის ორგანოების (2-ჯერ ხშირად კონტროლთან შედარებით), აგრეთვე ალერგიული დაავადების მაღალი დონე.

ახალშობილებისა და ბავშვთა ფიზიკური და ფსიქო-ფიზიოლოგიური განვითარების ტემპებში არსებული გადახრები იწვევენ მათი დედების დროებითი შრომის უუნარობის ფურცელზე გადასვლას ავადმყოფი ბავშვის მოვლის გამო. მისი დონე ძირითად ჯგუფში სტატისტიკურად სარმუნოდ მომატებულია შემთხვევათა რიცხვი - 2,4-ჯერ ($t=8,04$), ხოლო შრომის უუნარობის დღეები - 2,5-ჯერ ($t=8,40$).

უნდა აღინიშნოს, რომ სამენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში მომუშავეთა შორის განვითარებული სპეციფიკური ცვლილებები სისტემაში „დედა-ნაყოფი-ახალშობილი-ბავშვი“ უფრო ზომიერ ხასიათს ატარებს ქიმიურ წარმოებებთან შედარებით (2,5). რაც ანდა აიხსნას დარგის საწარმოების პროფესიულ ფაქტორთა სპექტრში აქტიური ქიმიური აგენტის ნაკლები როლით.

ამასთან ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პროფესიული ჯგუფი ხასიათდება პროფესიულ ფაქტორთა ნაირგვარი სპექტრით, განვითარებული ცვლილებების ხასიათი ერთგვაროვანია, განსხვავება გამოიხატება ცვლილებათა ინტენსივობაში. ასეთივე მდგომარეობა გამოვლინდება ჩვენი მასალის შეპირისპირებით სხვა ტიპის წარმოებებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებთან (3,5). აღნიშნული ფაქტის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ სხვადასხვა სახის გარემო ფაქტორი მომუშავე ქალთა ორგანიზმზე ახდენს

ძირითადი რეაქტიულობის შეცვლას, პათოლოგიისა და პათოლოგიის წინა მდგომარეობის განვითარებას (3,4).

სამრეწველო საწარმოებში არსებული შრომის პირობების შემდგომი გაჯანსაღება პროფესიული მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა, გარკვეულად განაპირობებს ჯანმრთელობის მდგომარეობის განმტკიცებას, რაც სასოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინტეგრალური მაჩვენებელია (1).

ჩვენს მიერ ჩატარებული კომპლექსური გამოკვლევების შედეგად შემუშავებული გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დარგის საწარმოებში რეალიზაციამ გარკვეული შედეგი გამოიღო. კერძოდ, შემცირდა ქალთა ქალთა სასქესო ორგანოების დაავადებებისა და ორსულობისა და მშობიარობის გართულებების დონე, რამაც თავის მხრივ, გარკვეული სასიკეთო გავლენა იქონია ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რის შედეგადაც 16,8%-ით შემცირდა ავადმყოფი ბავშვის მოვლის გამო გაცდენილ დღეთა რაოდენობა.

ამრიგად, სამრეწველო საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების დანერგვა მუშათა შრომის პირობების და აქედან გამომდინარე, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობაა.

ლიტერატურა:

1. Измеров Н.Ф. Труд и здоровье в развитом обществе. м.: "Медицина". 1991. - 344 с.
2. Рехвиашвили В.А. Репродуктивная система у женщин работниц в условиях химической экологии. Автореф. дисс. ... докт. мед. наук. Тбилиси: 1997. - 44 с.
3. Рехвиашвили В.А. Основные положения экологии репродуктологии // „პერინატოლოგია დღეს და მომავალში“, V კონფერ. მასალები. თბილისი: 1999. - გვ. 340-342.
4. Сивачова О.В., Кожини А.В. Экологические аспекты репродуктологии работающих женщин. М.: 1997. - 73 с.
5. Сиденко А.Т. Гигиена женщин в производстве стеклянного волокна. Автореф. дисс. ... докт. мед. наук. Л.: 1982. - 30 с.

Кверенчхиадзе Р., Рехвиашвили В.
ПРОБЛЕМА ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ РЕПРОДУКТОЛОГИИ
НА ПРИМЕРЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ
СТРОИТЕЛЬНЫХ МАТЕРИАЛОВ

РЕЗЮМЕ

В результате влияния имеющихся на предприятиях промышленности строительных материалов условий труда на организм женщин-работниц развиваются специфические изменения в системе "мать-плод-новорожденный ребенок". Несмотря на определенные различия в условиях труда отдельных профессиональных групп, развивающиеся изменения в основном носят однородный характер. Можно судить о существовании в профессиональной медицине проблемы т.н. профессиональной репродуктологии.

На основании проведенных комплексных исследований разработаны рекомендации по рационализации условий труда и укреплению здоровья, в том числе репродуктивного здоровья женщин-работниц, внедрение в практику которых дало значительные результаты.

Kverenchkhiladze G., Rekhviashvili V.
THE PROBLEM OF PROFESSIONAL REPRODUCTION AS AN EXAMPLE
OF BUILDING MATERIALS INDUSTRY

SUMMARY

The specific changes in system develop in results of material work's of condition in the undertakings of building materials industry as an organism of workwomen Mother-germ-baby-Child. On the whole developed changes wear homogeneous character in spite of clear originalities of work's conditions in the separate professional groups. We may discuss about specific problems of reproduction the so called by conditioned profession in the professional medicine.

It had been worked by arrangements of labour conduction rationalization and workwomen of health. For example: the reproductopnal measures of health's strengthening on the bassis of complex conducting investigation, which inclucation gave us important results.